



ფორსაიტი - ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების შერჩევის ინსტრუმენტი

რეზიუმე

ქვეყნის, რეგიონის, დარგების, ეფექტიანი სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს პრიორიტეტების დასაბუთებული შერჩევა, სამეცნიერო პოტენციალის, ფინანსური და მატერიალური რესურსების კონცენტრაცია მათი რეალიზაციისათვის. ამასთან, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში პრიორიტეტების დაწესება განიხილება მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების კონტექსტში.

პრიორიტეტების შერჩევის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ფორსაიტი.

ფორსაიტი გამოიყენება არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ, ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარების საპროგნოზო პარამეტრების შესამუშავებლადაც.

საქართველოში ჯერ არ არის შექმნილი არც ერთი სტრატეგიული დოკუმენტი ფორსაიტის გამოყენების საფუძველზე. ყველა არსებული სტრატეგიული დოკუმენტი გათვლილია მაქსიმუმ 5 წელზე, ყოველგვარი მეცნიერულ-ტექნიკური ანალიზის გარეშე. ამასთან, ასეთი დოკუმენტები არ არის მემკვიდრეობითი ხასიათის და ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად ყველაფერი ახლიდან იწყება. იმედია, ქვეყნის ახლად დააინსტალურებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორებიცაა საქართველოს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარების სტრატეგიები, ფორსაიტი თავის ადგილს დაიმკვიდრებს.

ამგვარად, სწორედ მეცნიერულად დასაბუთებული ფორსაიტის (და არა პროგნოზირების) კომპეტენტურად გამოყენება საშუალებას იძლევა შეიქმნას ქვეყნის, რეგიონების, დარგების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ხელსაყრელი კლიმატი.

საკვანძო სიტყვები: ფორსაიტი, პროგნოზი, ტექნოლოგიები, სტრატეგიული დაგეგმვა.

ნოღარ კიძიკაშვილი

სტრატეგიული ინიციატივების
სააგენტოს დირექტორი.

E-mail: ngeoconsult@gmail.com

პოპა კიკაბიძე

სტრატეგიული ინიციატივების
სააგენტოს პროექტების მენეჯერი.

E-mail: kobakik@gmail.com

ნანა ნადარეიშვილი

სტუ-ს ასოც. პროფესორი,
გეოგრაფიის ინსტიტუტის უფრ.
მეცნ. თანამშრომელი.

E-mail: n.nadareish3005@gmail.com

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყანა ვერ განავითარებს ცოდნის ეკონომიკას, თუ მას არ გააჩნია ოპტიმალურად დახვეწილი საგანმანათლებლო სისტემა და სამეცნიერო პოტენციალი. განსაკუთრებული პირობების შექმნით და მკაფიო სამოქმედო გეგმის შემუშავების შემთხვევაში სახელმწიფომ აღმშენებლობა და ინდუსტრიალიზაცია შეიძლება განახორციელოს ისტორიულად ძალიან მოკლე დროში (10-20 წლის განმავლობაში), მაგრამ მეცნიერული პოტენციალის ფორმირება-განვითარებას, ნახევარი საუკუნე მოანდომოს. აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის გაცილებით მძიმეა განათლებისა და მეცნიერების დეგრადაცია, ვიდრე ინდუსტრიული ობიექტების ნგრევა. ამიტომ, ყველა განვითარებული ქვეყანა ისწრაფვის ტექნოლოგიური ლიდერობისკენ, საკუთარი ინოვაციური სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისკენ, რითაც ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას.

თუმცა, არც ერთ ქვეყანას, მათ შორის აშშ-ს და იაპონიას, რომლებიც მეცნიერებაზე ხარჯავენ ასეული მილიონობით დოლარებს წელიწადში, არ შეუძლიათ აწარმოონ სრულფასოვანი კვლევები ყველა სამეცნიერო მიმართულებით, რადგან ახალი ცოდნის მიღება ითხოვს უდიდეს ხარჯებს მოწყობილობებზე და სპეციალისტების მომზადებაზე.

ამ პირობებში, სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის შერჩეული განვითარების ეროვნული მიმართულებები, რამდენად შედეგიანია სამეცნიერო-ტექნიკური პრიორიტეტების



შერჩევის მექანიზმები და როგორი ინსტრუმენტები გამოიყენება მათი რეალიზებისთვის. აქ მთავარია, თუ როგორი იქნება მოქმედებათა ადგილობრივ, რომელითაც სახელმწიფო იხელმძღვანელებს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისას.

ამიტომ, ქვეყნის, რეგიონის, დარგების, ეფექტიანი სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს პრიორიტეტების დასაბუთებული შერჩევა, სამეცნიერო პოტენციალის, ფინანსური და მატერიალური რესურსების კონცენტრაცია მათი რეალიზაციისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკური პრიორიტეტების შერჩევისას ძირითადი ყურადღება უნდა იქონიოს მიმართული ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების პრაქტიკაში დანერგვის ძალისხმევითა კონცენტრაციაზე, ეროვნული კონკურენტუნარიანობის უპირატესობების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფაზე. სრულიად ნათელია ისიც, რომ **მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში პრიორიტეტების დაწესება უნდა განიხილებოდეს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების კონტექსტში.**

როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, ეს პირველ რიგში იწყება მკაფიო, გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებით, რომელიც ეფუძნება პროგნოზირებას, განვითარების ციკლურობის პრინციპებსა და ახალი ტექნოლოგიური წყობის განჭვრეტას. მკაფიო ხედვის ჩამოყალიბების შემდეგ ქვეყნები ადგენენ გრძელვადიან (10-30 წლიან) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებს, ხოლო შემდეგ, საშუალოვადიან (5 წლამდე) სტრატეგიებსა და მოკლევადიან (1-2 წლიან) გეგმებს[1]. წინამდებარე ნაშრომში, სწორედ გრძელვადიანი დაგეგმვის პირველ კომპონენტს, ხედვის ჩამოყალიბების მექანიზმს ეძღვნება მთელი ყურადღება.

ფუნდამენტური მეცნიერების მოწინავე მიღწევებისა და საზოგადოების მოთხოვნილებების კვლევის საფუძვლებზე ხორციელდება ინოვაციური განვითარების ძირითადი მიმართულებების პროგნოზი. მაგრამ ისმის კითხვა - როგორ უნდა შეირჩეს პრიორიტეტთა სისტემა? თანამედროვე სამეურნეო პირობებში, საბაზრო მექანიზმი წარმოადგენს აუცილებელს, მაგრამ არა საკმარის პირობას განვითარებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერული დარგებისა და ეფექტიანი ინოვაციური ტექნოლოგიების შერჩევას. ამიტომ, დღის წესრიგში დგება ისეთი ინსტრუმენტის მოძებნა, რომელიც შეზღუდულად შეარჩევდა ეროვნულ პრიორიტეტებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში და სტიმულს მისცემდა

ინოვაციურ აქტივობას ეკონომიკის ყველაზე პერსპექტიული მიმართულებებით, შესაბამისად, მის სტაბილურ ზრდას. სწორედ ასეთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ფორსაიტი.

ფორსაიტი ინგლისური სიტყვაა („Foresight“) და ითარგმნება, როგორც „განჭვრეტა“, „მომავლისკენ ხედვა“. მოკლედ, ტერმინი „ფორსაიტი“ ნიშნავს მომავალი მოვლენების ანალიზს - განსაზღვრული ობიექტების სამომავლო მდგომარეობას, ამა თუ იმ პროცესის განვითარებას და ა.შ. ეს პროცესია, რომელიც მუდმივად აზუსტებს მომავლის ხედვას მის ფორმირებაში ჩართული დაინტერესებული მონაწილეების აქტივობის გათვალისწინებით. ფორსაიტი გულისხმობს განვითარების შესაძლო გზათა ძიებას, მათ განხილვა-ანალიზს და ამის საფუძველზე სხვადასხვა დარგში გრძელვადიანი პრიორიტეტების ჩამოყალიბებას.

ამ ტერმინის ფართოდ გამოყენება „პროგნოზის“ (Forecast) მაგივრად დაიწყო დიდ ბრიტანეთში მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ეროვნული პროგრამის „ტექნოლოგიური ფორსაიტი“-ს (Technology Foresight) განხორციელების დროს, რომლის ფარგლებში ხდებოდა აღნიშნული მეთოდის აქტიური განვითარება[2]. ფორსაიტი მოიცავს პროგნოზირების ყველაზე ეფექტიან მეთოდებს, მნიშვნელოვნად აფართოებს პროგნოზების შემუშავებისას გამოყენებულ ტრადიციულ მიდგომებს. ახალი ტერმინის შემოღება საჭირო გახდა, რათა ხაზი გაესვათ, რომ ფორსაიტ-პროექტების პროცესში მუშავდება შესაძლო ტექნოლოგიური პორიზონტების მონახაზები, რომლებიც შეიძლება მიღწეულ იქნას ინვესტირებით, სისტემატური სამუშაოს ორგანიზებით, ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის ახალი ტექნოლოგიების შესაძლო განვითარებით.

ფორსაიტის პროცესში ფასდება მეცნიერებისა და ტექნიკის **ცალკეული მიმართულებათა** განვითარების შესაძლო სცენარები, განისაზღვრება პოტენციური ტექნოლოგიური პორიზონტები. მაგრამ, ეს არ არის „პროგნოზი“ (forecast), მომავლის წინასწარმეტყველება. პროგნოზირებისა და ფორსაიტის გაიგივება ერთმანეთთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. პროგნოზირება ანვითარებს და იყენებს კონკრეტულ ვარაუდებს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იქნება განსაზღვრული მომენტისათვის (მაგალითად 2030 წლისათვის) და ეფუძნება დღეს არსებულ ტენდენციებს. რაც შეეხება ფორსაიტს („Foresight“), ის მომავლის შესაძლო ვარიანტების შერჩევის პროცესია, რომლებიც შეიძლება ახდენენ გარკვეული პირობების შესრულებით: განვითარების სცენარების სწორად განსაზღვრით, ამა თუ იმ სასურველი სცენარის შერჩევის დროს კონსენსუსის მიღწევით, მათ განსაზოგადოებლად ღონისძიებების გატარებით. ე.ი., ზემოთ ნათქვამი



რომ შევაჯამოთ, ტერმინი „პროგნოზი“ დიდი მიახლოებით გულისხმობს წინასწარმეტყველებას, ანუ რაღაც განსაზღვრული მომავლის აღწერას, ფორსაიტის თანახმად კი, არსებობს მომავლის შესაძლო მრავალი ვარიანტი, და რომელიმე მათგანის აღსრულება, უმეტესად დამოკიდებულია **ამჟამად დაწყებულ მოქმედებებზე**.

ფორსაიტი, პროგნოზირებისაგან განსხვავებით, იძლევა ტექნოლოგიური ჩამორჩენისაგან მიყენებული შესაძლო ზიანის განჭვრეტასაც, რადგან ტექნოლოგიების პროგნოზირება დაიყვანება ბაზრის დაკავების შესაძლო პროგნოზზე, შესაძლო შემოსავლების მიღებაზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, შესაბამისად, ბაზრების სავარაუდო ზარალზეც ტექნოლოგიური ჩამორჩენის შემთხვევაში [3].

ამგვარად, ფორსაიტი წარმოადგენს ინოვაციური განვითარების სტრატეგიული პერსპექტივების ექსპერტული შეფასებების მეთოდთა ფართო სისტემას, ტექნოლოგიურ გარღვევათა გამოვლენას, რომლებსაც შეუძლიათ მაქსიმალური ზეგავლენა მოახდინონ ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

იაპონიამ ერთ-ერთმა პირველმა შეაფასა ამ ინსტრუმენტის ეფექტიანობა საკუთარი ეკონომიკის განვითარებაში. ფორსაიტს იყენებს თითქმის ყველა ევროპული და აღმოსავლეთ-აზიური სახელმწიფო. ახლახან მათ მიუერთდნენ რუსეთი, ყაზახეთი და ბელორუსია. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ფორსაიტმა იქონია სერიოზული გავლენა როგორც დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის, ასევე მთლიანად ევროკავშირის სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებაზე (ევროკავშირის მე-6-ე და მე-7-ე ჩარჩო პროგრამები სამეცნიერო კვლევებსა და ტექნოლოგიურ განვითარებაში, რომელთა ბიუჯეტებში შესაბამისად შეადგინა, 17,5 და 54 მლრდ. ევრო), ხოლო ირლანდიაში, ფორსაიტის გამოყენებამ საშუალება მისცა ქვეყანას შეერჩია სტრატეგიული პრიორიტეტები სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროებში: ესენია საინფორმაციო და ბიოტექნოლოგიები. ფორსაიტ-პროგრამას განეკუთვნება ევროკავშირის მიერ ამჟამად ანონსირებული „HORIZON-2020“, რომლის ბიუჯეტი 80 მლრდ ევროს აღემატება [4].

ფორსაიტის აქტიური გამოყენება მსოფლიო პრაქტიკაში იყო რეაქცია წარმოების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებზე, რომელიც გამოწვეულია მეცნიერებისა და წარმოების სულ უფრო მჭიდრო ურთიერთმოქმედებით. ამან აღნიშნულ ქვეყნებში ბიძგი მისცა ახალი ტექნოლოგიების შემუშავების პროცესის დაჩქარებას, ახალი მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებას, ხოლო ინოვაციური საქმიანობის კვალიფიციურად წარ-

მართვა, ქვეყნების გლობალურ სივრცეში იდენტიფიცირების საშუალება გახდა.

ქვეყნების უმრავლესობაში ფორსაიტი მოიცავს არა მარტო სამეცნიერო კვლევების პროგნოზირების საკითხებს, არამედ მაღალი ტექნოლოგიების ბაზრის ათვისების პერსპექტივებსაც. მომავალზე და გრძელვადიან პერიოდზე მოქმედი ფაქტორების გაუმჯობესების ხარჯზე ფორსაიტი ხელს უწყობს მნიშვნელოვანი სოციალური და მმართველობითი პრობლემების გადაწყვეტას, სასურველი ან მოსალოდნელი მომავლის ფორმირებისათვის შესაძლებლობათა უზრუნველყოფას. ეს არის სტრატეგიულ კვლევათა ზონების იდენტიფიკაციისა და გამრღვევი ტექნოლოგიების აღმოჩენის მიზნით მეცნიერების, ტექნოლოგიების, ეკონომიკისა და საზოგადოების გრძელვადიანი მომავლისაკენ განჭვრეტის მცდელობა (ამასთან, სისტემატიურად), რათა ქვეყანამ მიიღოს მსხვილი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი [5].

არსებობს პროგნოზირების მრავალი მეთოდი, მაგრამ მათგან, ფორსაიტ-პროგრამებში ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება მხოლოდ 10-15. მაგალითად, იაპონიაში ფორსაიტ-პროგრამების საფუძვლად გამოიყენება დელფის მეთოდი, რომლის საშუალებით ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მუშავდება ტექნოლოგიური პროგნოზი უახლესი 30 წლის განმავლობაში. დიდ ბრიტანეთში და გერმანიაში უპირატესობას აძლევენ მეთოდთა ფართო სპექტრს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა კომბინაციით; აშშ-ში და საფრანგეთში დაგროვილია მნიშვნელოვანი გამოცდილება კრიტიკული ტექნოლოგიების ჩამონათვალის შედგენაში. მთლიანობაში ყველაზე პროდუქტიულად გამოიყენება - დელფი, კრიტიკული ტექნოლოგიები, სცენარების შემუშავება, ტექნოლოგიების საგზაო რუკა და ექსპერტული პანელების ფორმირება [6].

ფორსაიტი საშუალებას იძლევა მუდმივად ზუსტდებოდეს მომავლის ხედვა მის ფორმირებაში ჩართული დაინტერესებული მონაწილეების აქტივობის გათვალისწინებით. ფორსაიტის ამ მახასიათებელმა მიიღო „მონაწილეობის ფართო ფორმატის“ სახელწოდება. ფორსაიტის დროს ახდენენ პროცესის პროგნოზირებას ყველა მისი ცვლილებებით, ითვალისწინებენ არსებული ტექნოლოგიების განდევნა-შევიწროების შესაძლებლობებს, სხვადასხვა კომბინაციების საფუძველზე ახალი ტექნოლოგიების წარმოშობას, ტექნოლოგიების ურთიერთმოქმედებასა და ურთიერთ ჩანაცვლებას.

ფორსაიტის საფუძველზე მუშავდება ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნოლოგიების განვითარების საშუალო და გრძელვადიანი (20-30 წლიანი) სტრატეგიები, რომლებიც მიმართულია კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენ და სოციალურ-



ეკონომიკური სფეროს მაქსიმალური ეფექტიანობით განვითარებისაკენ. ეს მიდგომა გამოიყენება არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ, ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარების საპროგნოზო პარამეტრების შესამუშავებლად. ამიტომაც, ფორსაიტმა თავი დაიმკვიდრა როგორც ყველაზე ეფექტიანმა ინსტრუმენტმა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პრიორიტეტების შერჩევისას.

მეცნიერებისა და ტექნიკის პრიორიტეტულ მიმართულებად იგულისხმება კვლევების ის ძირითადი სფეროები, რომელთა პრაქტიკულმა რეალიზაციამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ინდუსტრიულ განვითარებაში. მათმა განვითარებამ კი უნდა უზრუნველყოს ქვეყნის წინაშე დასახული ეროვნული მიზნების განხორციელება. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ყოველი პრიორიტეტული მიმართულებიდან შეიძლება ცალკე გამოიყოს უფრო კონკრეტული გამოყენებითი მიმართულებები, რომლებსაც **კრიტიკულ ტექნოლოგიებს** უწოდებენ. სწორედ ისინი ქმნიან მნიშვნელოვან წინაპირობებს კვლევებისა და შემუშავებების სტრატეგიული სფეროების განვითარებისთვის.

რესურსების შეზღუდულობა მოითხოვს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ყველაზე სასურველი ვექტორის შერჩევას და ამ მიმართულებების პერიოდულ გადასინჯვას. პრიორიტეტები განისაზღვრება როგორც საშუალო (5-10 წელი), ისე გრძელვადიან პერსპექტივაში (20-30 წლამდე) „კრიტიკული ტექნოლოგიების“ მეთოდის გამოყენებით [7]. ეს საშუალებას იძლევა შეფასდეს აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების შემადგენლობაში შემაჯავლი მნიშვნელოვანი მიმართულებები, ტექნიკური გადაწყვეტილებები, გამოყენების სფეროები, საკვანძო პერსპექტიული ინოვაციური პროდუქტები, ასევე, სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ „კრიტიკულ ტექნოლოგიებს“, ის არის — დარგთაშორისი (დისციპლინაშორისი) ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების კომპლექსი, რომელიც ქმნის წინაპირობებს სხვადასხვა ტექნოლოგიური მიმართულებების განვითარებისათვის, გააჩნია კონკურენტუნარიანი ინოვაციური განაცხადების ფართო პაკეტი ეკონომიკის სხვადასხვა დარგში და ჯამურად შეაქვს უდიდესი წვლილი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ტექნიკის პრიორიტეტული მიმართულებების რეალიზაციაში [8].

პრაქტიკაში მიღებული პროგნოზების შედარება მსოფლიო სხვადასხვა კვლევათა შედეგებთან, შემუშავებებთან და ინოვაციებთან, საშუალო-

ბას იძლევა შეფასდეს ინოვაციური პროდუქციის პოტენციალი და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ქართველი მეცნიერების, მკვლევარებისა და მეწარმეების სამუშაოთა ყველაზე პერსპექტიული მიმართულებების მხარდასაჭერად.

არსებობს ფორსაიტის საპირისპირო ინსტრუმენტი - ჰინდსაიტი (hindsight) [9], ანუ ეს არის წარსულში დაწუნებული პროექტების შეფასება, მათი მარცხის მიზეზების ანალიზი - და ესეც თავის მხრივ იძლევა პოზიტიურ შედეგებს. მაგალითად, თუგავანალიზებთ - ადრე განხორციელებულ პროექტების მაგალითებს (ე.წ. „ცოდნის ქალაქი“ საბურთალოზე, „სავადმყოფოების კლასტერი“ დიღომში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების პროექტებს ფოთში და ქუთაისში, პარლამენტის შენობის აშენება ქუთაისში, ჩაის მრეწველობის დაქვემდებარება კომპანია „მარტინ ბაუერი-სათვის“, ნოყიერი სასოფლო-სამეურნეო მიწების ინდუსტრიალიზაციისათვის გამოყენება და ა.შ.), ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ აღარ დაუშვათ მსგავსი შეცდომები მომავალში. სხვანაირად რომ ითქვას, ჰინდსაიტი - ეს არის რეტროსპექტივა, რომელიც ჩვენი აზრით წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს საქართველოს ინოვაციური სისტემის ფორმირებაში.

დადებით უცხოურ გამოცდილებას გააჩნია გარკვეული მნიშვნელობა, თუმცა არ უნდა იქნას დაიწყებული, რომ საყოველთაოდ მიღებული პრიორიტეტების გაუზრებელმა კოპირებამ შეიძლება ქვეყანა მიიყვანოს საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-ისტორიული, გეოპოლიტიკური და სხვა თავისებურებების შეუფასებლობამდე. ამიტომ, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას საქართველოს სპეციფიკა პერსპექტიული სამეცნიერო-ტექნიკური მიმდინარეობების შერჩევისას, რათა მაქსიმალურად შესაძლებელი გახდეს საკუთარი უპირატესობების გამოყენება და ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მიმართულნი იქნებიან ჩვენი კონკურენტული შესაძლებლობების გაძლიერებისკენ. ასე მაგალითად, სულ ახლახან, ამერიკელი ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს დღევანდელი სამეცნიერო მიღწევები, რის შედეგადაც საქართველოს მთავრობას წარედგინა 7 პერსპექტიული ტექნოლოგიური პროექტი, რომლებიც მათი აზრით, ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვნად ჩაითვალა. აღნიშნული პროექტები არა მარტო გააძლიერებს ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებს, არამედ, მათ შეიძლება მოეძებნოთ სხვა ალტერნატიული გამოყენებაც.

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ არ შექმნილა არც ერთი სტრატეგიული დოკუმენტი ფორსაიტის გამოყენების საფუძველზე. ყველა არსებული სტრატეგიული დოკუმენტი გათვლილია მაქსიმუმ 4-5 წელზე. ყოველგვარი მეცნიერულ-ტექნიკური ანალიზის გარეშე. ამასთან, ასეთი დოკუმენტები არ არის მემკვიდრეობითი ხასიათის და ქვეყანაში ახა-



ლი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად ყველაფერი ახლიდან იწყება. იმედია, ქვეყნის ახლად დაანონსებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორებიცაა საქართველოს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარების სტრატეგიები, ფორსაიტი თავის ადგილს დაიმკვიდრებს.

ამგვარად, სწორედ მეცნიერულად დასაბუთებული ფორსაიტის (და არა პროგნოზირების) კომპეტენტურად გამოყენება საშუალებას იძლევა შეიქმნას ქვეყნის, რეგიონების, დარგების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ხელსაყრელი კლიმატი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, ნ. ძიძიკაშვილი, ნ. ნადარეიშვილი. „ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს სტრატეგიულ განვითარებაზე“. ჟურნ.: სოციალური ეკონომიკა № 3. 2013.
2. Loveridge, D. *United Kingdom Foresight Programme [Text]* /D. Loveridge, L. Georgiou, M. Neveda. – PREST. – University of Manchester, 2001.– 200 p.
3. Соколов А.В. Взгляд в будущее // Форсайт. 2007. №1.
4. HORIZON 2020 <http://ec.europa.eu/programmes/horizon2020/>
5. United Nations Industrial Development Organization, 2015. *Industrial Development Report*

2016. *The Role of Technology and Innovation in Inclusive and Sustainable Industrial Development*. Vienna.
6. Соколов А.В. Взгляд в будущее // Форсайт. 2007. №1.
7. Popper S., Wagner C., Larson E. (1998) New forces at work. Industry views critical technologies. Washington, D.C.: RAND.
8. Popper R. Methodology: Common Foresight Practices & Tools, in Georgiou, L. et al., International handbook on Foresight and Science Policy: Theory and Practice. Edward Elgar, UK, 2007.
9. <http://et2050.eu/index.php/foresight-institutes/299-european-foresight-platform-efp>

FORESIGHT – THE INSTRUMENT OF DETERMINING NATIONAL DEVELOPMENT PRIORITIES

NODAR DZIDZIKASHVILI, Strategic Initiatives Agency, Director. ngeoconsult@gmail.com
KOBA KIKABIDZE, Strategic Initiatives Agency, Project Manager. kobakik@gmail.com
NANA NADAREISHVILI, Tbilisi State University, Associate Professor; Institute of Geography, Senior Research Fellow. n.nadareish3005@gmail.com

Summary

Successful scientific and technological development of a country, a region, or a particular economic sector requires to properly determine the development priorities and ensure concentration of sufficient scientific potential and financial/material resources. Besides, the identification of scientific and technological priorities is seen as part of the development of a long-term strategy for social-economic growth.

Foresight is one of the instruments for setting priorities both at the national and regional level, as well as for the sectoral development policy.

Georgia has never produced foresight-based strategic documents so far. All existing strategic documents have been prepared for a span of no more than five years, without any scientific-technical analysis. Moreover, every new Georgian government usually dumps the documents created by its predecessor and restarts the process again. Hopefully, the situation will change and upcoming strategic documents, such as the much publicized national long-term social-economic and spatial development strategies, will be based on the foresight methodology.

Just the scientifically grounded foresight (not forecast), if professional and competent, can allow to properly identify long-term national, regional, sectoral and scientific-technological development priorities.

Keywords: Foresight, Forecast, technology, strategic planning.